CENTRA TBILISI TERMINAL
ცენტრა თბილისის ტერმინალი

7.06.2023
N 33.06.2023

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
-08- 06 2023 წ.
№ 5215

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

შ.პ.ს.„ცენტრა თბილისის ტერმინალი"-ს 23117მ³ ჯამური მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავი განთავსებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჩიანში მდებარე, მის საკუთრებაში არსებულ 156817.00 კვ.მ. ფართობის, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.06.09.258).

შ.პ.ს. „ცენტრა თბილისის ტერმინალი" -ს მიერ აღნიშნული ნავთობპროდუქტების საცავი შეძენილი იქნა 2020 წლის 27 ოქტომბრის აუქციონზე.

აღნიშნული ნავთობპროდუქტების საცავის საქმიანობა 2018 წლის 1 იანვრამდე დაიწყო, მაგრამ არა აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება. მაშინ როდესაც, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ი) ქვეპუნქტის შესაბამისად „ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, აგრეთვე თხევადი და ბუნებრივი აირების საცავების, ტერმინალების განთავსება, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებული ავზებიდან ერთ-ერთის მოცულობა 1000 კუბ.მ-ზე მეტია ან მათი ჯამური მოცულობა 1000 კუბ.მ-ს აღემატება" განეკუთვნებოდა ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობას, ხოლო საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობები, რომელთა განხორციელებაც 2018 წლის 1 იანვრამდე დაიწყო და რომლებსაც არა აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება, თუ აღნიშნული საქმიანობების განმახორციელებლებს არ მიუმართავთ გზშ-ის სფეროში შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მისაღებად, საჭიროებს სააგენტოს მიერ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად მიღებას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართის 47-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად „ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლების მისაღებად სააგენტოს 2024 წლის 1 იანვრამდე მიმართოს".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართის 47-ე მუხლის მესამე პუნქტის და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 11 ოქტომბრის №2-827 ბრძანებით დამტკიცებული „ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედგენისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესები"-ს შესაბამისად, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ:

1. შ.პ.ს. „ცენტრა თბილისის ტერმინალი" -ს ნავთობპროდუქტების საცავის მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშს - 1 ეგზემპლიარი;

2. მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკს- 1 ეგზემპლიარი;
3. მიმდინარე საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაციას, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).
4. ტექნოლოგიურ სქემას;
5. ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

პატივისცემით,

დირექტორი

ლევან მატუა

შპს ცენტრა თბილისის ტერმინალი
ctt
426541655
CENTRA TBILISI TERMINAL LLC